აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 46

10 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატებისათვის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

„საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ პარტიულ სიაში №33 უმაღლეს საბჭოს წევრობის კანდიდატს (ბაქანიძე ნაირა) პარტიულ სიაში მითითებული აქვს „პარტიულობა“ (საქართველოს კონსერვატიული პარტია), ხოლო მისსავე საარჩევნო ბარათში მითითებული აქვს „უპარტიო“, რაც არ აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 47-ე მუხლის მე-10 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-11 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 49-ე მუხლის მე-3, მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. უარი ეთქვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის „საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ პარტიული სიის რიგით №33 (ბაქანიძე ნაირა) კანდიდატს საარჩევნო რეგისტრაციაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე